## რესპუბლიკის სპორტსმენთა მონაგარი

სსრ კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადა:
აკრობატიკა ● „ოქრო" – ფატი სულაქველიძე (ხტომა)

მძლეოსნობა ● „ოქრო" – მაია აზარაშვილი (200 მ. რბენა – 22,51 წმ);
„ოქრო" – ოლეგ სტრიჟაკოვი (5000 მ. – 13.55,75);

წყალში ხტომა ● „ოქრო" – გიორგი ჩოგოვაძე (10 მ. კოშკიდან ხტომა);

სსრ კავშირის ჩემპიონატი:
ძიუდო ● „ოქრო" – გიორგი თენაძე (71 კგ);
„ვერცხლი" – შოთა ხაბარელი (78 კგ);
„ბრინჯაო" – ჯემალ მჭედლიშვილი (86 კგ);
„ბრინჯაო – ბათო ჯიქური (71 კგ)

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

21 სექტემბერი, კვირა, 1986 წ.
№ 183 (9344) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## სსრ კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადა

„ლელოს" სპეციალური კორესპონდენტები ელგუჯა ბერიშვილი, ავთანდილ გურასაშვილი, თამაზ ხარაბაძე მოსკოვიდან, გიორგი ჩოჩიშვილი ტაშკენტიდან ტელეფონით გადმოგვცემენ:

# ყოჩაღ, ფატი!

**მინსკში** მიმდინარე აკრობატთა შეჯიბრებაში მხტომელმა ფატი სულაქველიძემ ოქროს მედალი და სპარტაკიადის ჩემპიონობა მოიპოვა. ჩვენ მინსკში დავუკავშირდით საქართველოს სპორტსახკომის მთავარ მწვრთნელს აკრობატიკაში ილია მუჩიაშვილს და ვთხოვეთ მოეთხრო საქართველოს აკრობატთა გამოსვლების შესახებ.

აკრობატთა ასპარეზობამდე რამდენიმე დღით ადრე ჩვენი ნაკრების ოთხეულის (ვახტანგ ბოტკოველი, გოდერძი ახობაძე, გია ალაშვილი, ოლეგ სლივკოვი) გამოსვლა სათუო გახდა. ამის მიზეზი ის იყო, რომ გოდერძი ახობაძეს ფეხი სტკიოდა. მწვრთნელისა და შეგირდების გაწეული შრომა წყალში იყრებოდა. საჭირო გახდა სასწრაფო ოპერაცია. და აი, 2 დღის შემდეგ გოდერძი მინსკის სპორტის სასახლეში გამოვიდა. ეს იყო ნამდვილი ვაჟკაცობა. იქნებ ამიტომაც გამოვიდა მობილიზებული ჩვენი ოთხეული. მათ თავიდანვე ხელთ იგდეს ლიდერობა და ფინალშიც საუკეთესო შედეგით გავიდნენ.

კარგად დაიწყო სავალდებულო პროგრამა ჩვენმა სამეულმაც: (მარინე შალაშვილი, ინგა გიორგობიანი, ნატალია ანისიმოვა) პირველი დღის შედეგით დაწინაურდა კიდეც, მაგრამ ნებისმიერ პროგრამით შესრულებულ ვარჯიშში ხელი მოეცარა და მეხუთე შედეგით გავიდა ფინალში. ჩვენი ქალთა წყვილი (ნატალია ვიტორჩკინა, მზია კოსტავა) სავალდებულო პროგრამის შემდეგ XII ადგილზე გავიდა, ნებისმიერში კი სამი ადგილით დაწინაურდა და საბოლოოდ IX ადგილი დაიკავა, თავის შესაძლებლობასთან შედარებით სუსტად იასპარეზა იოსებ თუთბერიძე — მალხაზ ბერემელაშვილის წყვილმა (მე-8 ადგილი).



დაიბადა 1967 წელს ქუთაისში. საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, სპორტსაზოგადოება „შრომითი რეზერვების" წევრი. სიმაღლე — 154 სმ, წონა — 45 კგ. სპორტში მეცადინეობა დაიწყო 1976 წელს.
თბილისის პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის II კურსის სტუდენტი.
მწვრთნელები — ტარიელ ბაშალეიშვილი და საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ჯუმბერ ლაშხი.
საუკეთესო შედეგები: რესპუბლიკის ორგზის ჩემპიონი. 1982 წ.
საკავშირო პირველობის მესამე და საკავშირო ჩემპიონატის მეორე პრიზიორი.
მოსწავლეთა XVII სპარტაკიადის ჩემპიონი, ხალხთა IX სპარტაკიადის ჩემპიონი.

შერეულ წყვილთა ვარჯიშში დასახულ ამოცანას კარგად გაართვეს თავი თბილისელმა კარინა სარქისიანმა და ჰამლეტ ღარიბოვმა. ისინი ფინალში IV შედეგით გავიდნენ. ასეთივე შედეგი აქვს მხტომელ ზურაბ კილაძეს. მეორე მხტომელმა ჯონდო მარიდაშვილმა მხოლოდ მე-9 ადგილის დაკავება შეძლო.

რაც შეეხება ჩემპიონს, ფატიმ სავალდებულო პროგრამით ასპარეზობაში საკმაოდ შეუფერებელი მე-6 ადგილი დაიკავა, სამაგიეროდ ნებისმიერ ვარჯიშში იყო შეუდარებელი და ამიტომ მეორე ადგილზე გადაინაცვლა. მას მხოლოდ მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონი სტავროპოლელი ლუდმილა გრომოვა უსწრებდა. თუმცა, ლუდმილა ასაკის გამო მხოლოდ საბჭოთა კავშირის ჩემპიონობისთვის იბრძოდა (ეს შეჯიბრება სპარტაკიადის პარალელურად მიმდინარეობდა).

ფატი ფინალში კვლავ დიდოსტატურად გამოვიდა, მისმა კონკურენტმა ელენა ბუგარიოვამ კი მესამე ვარჯიშში გააფუჭა. ასე გახდა ფატი სპარტაკიადის ჩემპიონი. დღეს გაიმართება საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის ფინალი. ფატი აქ მეორე ადგილზეა.

ჩვენმა მეორე მხტომელმა ია ხოფერიამ XVI ადგილი დაიკავა.

გუნდური შედეგებით საქართველოს ნაკრები ჯერჯერობით მესამე ადგილზეა და 48 ქულით უსწრებს მეოთხე ადგილზე მყოფ ლენინგრადის გუნდს.



მარცხნიდან: სსრ კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადის ოქროს მედალოსნები — ოლეგ სტრიჟაკოვი, ტარიელ ბიწაძე, მაია აზარაშვილი და მესამე პრიზიორი ზურაბ მემარნიშვილი.

### ელვა-ინფორმაცია

და კიდევ სასიხარულო ცნობა: **მაია აზარაშვილმა** სპარტაკიადის მეორე ოქროს მედალი მოიპოვა — 200 მეტრი 22,51 წამში გაირბინა და ჩემპიონის ტიტულს ახალი სასპარტაკიადო რეკორდით დაეუფლა.

რესპუბლიკის სპორტის გულშემატკივართა სახელით ვულოცავთ მაიას ამ ბრწყინვალე წარმატებას. და აქვე დავძენთ: აზარაშვილ-მემარნიშვილის ოჯახმა სპარტაკიადაზე რესპუბლიკას უფრო მეტი — 121,5 ქულა მოუტანა, ვიდრე ფეხბურთელთა, კალათბურთელ ვაჟთა და ქალთა, ხელბურთელ ქალთა, მოჭადრაკე ქალთა, ჰოკეისტ ქალთა, ძალოსანთა, ცხენოსანთა, მაგიდის ჩოგბურთელთა ნაკრებმა გუნდებმა ერთად აღებული (111 ქულა). 5.000 მეტრზე რბენაში სპარტაკიადის ჩემპიონი გახდა ოლეგ სტრიჟაკოვი — 13.55,75.

მძლეოსანთა შეჯიბრება დამთავრდა. საქართველოს ნაკრებმა 103,5 ქულა მოაგროვა და X ადგილი დაიკავა. წინა სპარტაკიადაზე საქართველოს მძლეოსანთა ნაკრების შედეგი 63 ქულა და XVI ადგილი იყო.

იხ. მე-2 გვ.

### საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში

# გულშემატკივარი კმაყოფილი ტოვებდა სპორტის სასახლეს

თბილისი. სპორტის სასახლე. 19 სექტემბერი.
„დინამო" (თბილისი) — ვეფ (რიგა) 89:74 (45:41).
„დინამო": სანაძე (24), ტიუბინი (18), ბოროდაჩოვი (12), გიორგობიანი (11), ოპოშნიანი (9), კაპუსტინი (6), დარსაძე (5), დერიუგინი (2), კობეშავიძე (2).
ვეფ: ვალტერსი (24), მუუნიეკსი (19), ეკობსონსი (13), დუდაროვი (11), კარავაევი (3), დრეიბერგსი (2), ჩირკოვი (2), პენცისი, კალნინში.
მსაჯები: ბ. სოსნოვსკი (კიევი) და მ. მეტასი (ტალინი).

თბილისი. სპორტის სასახლე. 19 სექტემბერი.
„სტატიბა" (ვილნიუსი) — „დინამო" (მოსკოვი) 83:80 (42:45).
„სტატიბა": მარჩიულენისი (33), ბრაზდაუსკასი (15), მატკიავიჩუსი (14), ვაინაუსკასი (7), ბუტაუტასი (5), ანდრიუნასი (5), გრიგასი (4).
„დინამო": ლინდინი (17), კოჩერგინი (16), სიზოვი (14), სუხარევი (14), შიშკოვი (6), აგაპეევი (5), კალიჩევი (4), გადოშევი (2), ოხოტნიკოვი (2),
მსაჯები: ი. აპოლონოვი, ი. შამისი (ორივე — ლენინგრადი).



„დინამო" (თბილისი) — ვეფ-ი (რიგა). ეპიზოდი კალათბურთელთა [illegible]

**მოსკოვის** „დინამოსა" და ვილნიუსის „სტატიბას" პირველ შეხვედრაში უპირატესობა თავიდანვე ლიტველმა კალათბურთელებმა მოიპოვეს. ისინი სწრაფი შეტევებით აღწევდნენ წარმატებას და ანგარიშშიც მალე დაწინაურდნენ. მოსკოველები ცდილობდნენ არ ჩამორჩენოდნენ მეტოქეს და ეს საინტერესო პაექრობა ტაიმის დასასრულს დაძაბულ ორთაბრძოლად იქცა. შესვენებამდე ექვსი წუთით ადრე, პირველად ამ შეხვედრაში, დინამოელები დაწინაურდნენ — 35:34 და ტაიმიც მათ მოიგეს (45:42). მატჩის მეორე ნახევარში კვლავ ლიტველი კალათბურთელები გააქტიურდნენ. განსაკუთრებით გამოირჩეოდა მარჩიულენისი (№13), რომელმაც დიდი როლი ითამაშა ამ მატჩში. მას კარგად უბამდნენ მხარს ანდრიუნასი (№ 5) და ბუტაუტასი (№ 4). „სტატიბა" კვლავ წინ გავიდა. მატჩის დამთავრებამდე ათი წუთით ადრე სხვაობამ ანგარიშში 10 ქულას მიაღწია ლიტველთა სასარგებლოდ. და მაინც დინამოელებს ფარ-ხმალი არ დაუყრიათ და ბოლომდე იბრძოდნენ ქულის გადასარჩენად. შეხვედრის დამთავრებამდე 51 წამით ადრე მათ ანგარიში მინიმუმამდე შეამცირეს (80:81), მაგრამ საბოლოოდ მაინც დამარცხდნენ — 80:83.

დიდი ინტერესითა და ერთგვარი მღელვარებით ველოდით თბილისის „დინამოსა" და რიგის ვეფ-ის შეხვედრას. ამ მატჩში ბევრი რამ უნდა გადაეწყვიტა რიგელთა ლიდ-

იხ. მე-3 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სსრ კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მედლებიც, ოსტატობაც...

**საქართველოს** წყალბურთელებს, როგორც ვიუწყებოდით, ვერცხლის მედლების მოპოვების კარგი შესაძლებლობა აქვთ. მიზნის მისაღწევად მათ ყველა შეხვედრა უნდა მოიგონ. ამის იმედი კი მათ აქვთ და, როგორც იტყვიან, „ძალაც შესწევთ ქადილისა“, ისინი მთელი მონდომებით იბრძვიან. რა თქმა უნდა, ასეთ შემთხვევაში ექსპერიმენტების დრო არ არის და გუნდმა ყველაფერი უნდა იღონოს ბრწყინვალე შანსის გამოსაყენებლად. ამიტომ იყო, რომ ლენინგრადელებთან შეხვედრაში ყველა გაოცდა, როცა ჩვენი რესპუბლიკის წყალბურთელთა ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა ირაკლი ჩხიკვაძემ სარბიელზე სრულიად განსხვავებული სასტარტო შემადგენლობა გამოიყვანა. ჩვენმა გუნდმა ბრძოლა ფაქტიურად მეორე შემადგენლობით დაიწყო. რა თქმა უნდა, მწვრთნელმა იცოდა რასაც აკეთებდა.

წყალბურთელთა ტურნირში საპრიზო ადგილის დაკავება სპორტის ოსტატის წოდების მოპოვების გარანტიას იძლევა, ამიტომ ის გუნდები, რომლებიც მედლებს უმიზნებენ, ცდილობენ თითოეულ მატჩში გუნდის ყველა წევრი გამოიყვანონ. მათ სულ ცოტა ყველა შეხვედრაში 7 წუთი მაინც უნდა ითამაშონ, რომ ეს წოდება მოიპოვონ. ამ მხრივ საქართველოს ნაკრების წევრებს უნდა ითქვას, რომ საქმე ჩინებულად აქვთ, აშკარაა, რომ გუნდი მედლებს მოიპოვებს და საქართველოში ყველანი სპორტის ოსტატებად დაბრუნდებიან. მაგრამ მთავარი, რა თქმა უნდა, მედლებია. საამისოდ კი, ვიმეორებთ, მატჩების მოგებაა საჭირო. ამიტომ მეორე შემადგენლობამ ცოტა არ იყოს შიში გვაჭამა. პირველი პერიოდი ჩვენმა გუნდმა წააგო, ამის შემდეგ სარბიელზე კვლავ ჩვენი გუნდის ძირითადი შემადგენლობა ვიხილეთ. მესამე პერიოდში მატჩის საერთო ანგარიში 5:4 იყო ჩვენი წყალბურთელების სასარგებლოდ. მეოთხე პერიოდში კი მათ საბოლოოდ გატეხეს ლენინგრადელთა წინააღმდეგობა და მეტოქის კარში სამი „მშრალი“ ბურთი გაიტანეს.

8:4 — ასე დამთავრდა ეს შეხვედრა.

ახლა წყალბურთელთა ტურნირს ერთპიროვნულად ლიდერობს მოსკოვის ნაკრები, რომელსაც 10 ქულა აქვს. 8 ქულით მომდევნო ადგილზეა საქართველოს ნაკრები. მის უახლოეს მდევარს ყაზახეთის გუნდს 6 ქულა აქვს.

**გუშინ ჩვენმა წყალბურთელებმა მოლდავეთის გუნდი დაამარცხეს — 11:8 და ვერცხლის მედლები გაინაღდეს.**

## ფრენბურთელებმაც დაიწყეს...

**ლენინგრადი.** აქ დაიწყო საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული ფრენბურთელთა ტურნირი. საქართველოს ქალთა და ვაჟთა გუნდები საკმაოდ ძლიერ ქვეჯგუფებში გამოდიან. ვაჟთა IV ქვეჯგუფში ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენთა გარდა რუსეთის ფედერაციის, უკრაინისა და ყირგიზეთის კოლექტივები ასპარეზობენ, ქალთა II ქვეჯგუფში კი საქართველოს ნაკრებს რუსეთის ფედერაციის, უზბეკეთისა და ესტონეთის გუნდებთან უხდებათ პაექრობა. ასე რომ, ფინალურ ჯგუფში მოხვედრა ორივე გუნდისათვის ძნელი ამოცანა იქნება.

გაიმართა პირველი შეხვედრები. საქართველოს ვაჟთა გუნდმა ყირგიზეთის კოლექტივს აჯობა (3:1), ქალები კი ესტონელებთან დამარცხდნენ (0:3).

## მერვე და მეათე ადგილებზე

**მოსკოვი.** „კრილატსკოეს“ ოლიმპიური ცენტრის „პოლიგონზე“ დაიწყო მშვილდოსანთა სასპარტაკიადო ტურნირი. პირველი დღის შეჯიბრების შემდეგ (პროგრამის თანახმად ჯერ გუნდური ასპარეზობა ტარდება, შემდეგ კი პირადი) საქართველოს მშვილდოსან ქალთა ნაკრები მე-10 ადგილზეა (ჩვენს უახლოეს მეტოქეთაგან ერთს — უზბეკეთის გუნდს ჯერჯერობით მეშვიდე შედეგი აქვს, მეორე — ლატვიის კოლექტივი კი შეჯიბრებაში საერთოდ არ მონაწილეობს).

ვაჟთა შეჯიბრებაში საქართველოს მშვილდოსნები ჯერჯერობით ოდნავ უკეთ გამოდიან. პირველი დღის შემდეგ ისინი VIII ადგილზე არიან (ლიტვას მეექვსე შედეგი აქვს, უზბეკეთს კი — მეცხრე).

## ეს გამარჯვება მაინც სხვა იყო...

**ტარიელ ბიწაძე ოცი წლისაა. მძლეოსნობის ძალისმიერ სახეობაში — ბირთვის კვრაში გამარჯვება მოწიფულ ადამიანს უფრო უადვილდება, ამიტომ სოხუმელი მძლეოსნის წარმატება „ფახთაქორის“ სტადიონზე მართლაც მოულოდნელი და მეტად სასიხარულო იყო. 18 სექტემბერს სტადიონის სექტორში ისეთი დაძაბული ბრძოლა გაჩაღდა, რომ მწვრთნელი თამაზ ჭედია, ჩვენი გუნდის წევრები და გულშემატკივრები, რომ იტყვიან, პირდაპირ ეკლებზე ისხდნენ. მხოლოდ მაშინ ამოისუნთქეს თავისუფლად, როდესაც ტარიელის უკანასკნელმა მეტოქემ ბოლო ცდა შეასრულა.**

### ტარიელ ბიწაძე

მძლეოსნობა (ბირთვის კვრა)

**დაიბადა 1966 წლის 12 იანვარს სოხუმში.**
**სიმაღლე 194 სმ, წონა 112 კგ.**
**აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის IV კურსის სტუდენტი,**
**სპორტის ოსტატი.**
**სპორტსაზოგადოება „დინამოს“ წევრი.**
**ვარჯიში დაიწყო 1980 წელს თამაზ ჭედიას ხელმძღვანელობით.**
**საბჭოთა კავშირის მრავალგზის ჩემპიონი ჭაბუკთა და იუნიორთა შორის. იუნიორ მძლეოსანთა საერთაშორისო მატჩებში გამარჯვებული, ქვეყნის რეკორდსმენი იუნიორთა შორის.**
**IX საკავშირო სპარტაკიადის ჩემპიონი. მისი საუკეთესო შედეგი — 19,84 მ საქართველოს ახალი რეკორდია.**



● **ტარიელ, თუ არ ვცდები, შენს რამდენიმე მეტოქეს, რომელთაც ფინალში ეჯიბრებოდი, შენზე გაცილებით უკეთესი შედეგი ჰქონდა.**

— მართალია, ამ სპარტაკიადამდე გამართულ ოფიციალურ შეჯიბრებებში მხოლოდ 18 მეტრს გადავაცილე ბირთვი, მაგრამ თბილისში გამართულ უკანასკნელ ვარჯიშებზე 20 მეტრი და 40 სანტიმეტრი ვაჩვენე. მე და ჩემმა მწვრთნელმა წინდაწინ შევისწავლეთ ყველა სავარაუდო მეტოქე და იმ დასკვნამდე მივედით, რომ ასეთი შედეგით გამარჯვება შეიძლებოდა.

● **ნახევარ წელიწადში მთელი მეტრნახევრით გააუმჯობესე პირადი მიღწევა. მაინც რის ხარჯზე შეძელით ეს?**

— ადრე მხოლოდ იუნიორთა შეჯიბრებებში გამოვდიოდი. იმ დროს მწვრთნელი უფრო იოლ ვარჯიშებს მაძლევდა და არც ასეთი მომთხოვნი იყო. თავისუფალ დროსაც უფრო ხშირად სურვილისამებრ ვიყენებდი, მაგრამ მერე სერიოზული მიზანი დავისახეთ. სპარტაკიადისთვის ძალიან ადრე დავიწყეთ მზადება. ყველა წვრილმანს ვითვალისწინებდით: კვებას, დასვენებას...

● **ამდენ ხანს რეჟიმში ყოფნა ახალგაზრდა კაცისთვის ალბათ ძნელია.**

— ასეთი წვრთნა მართლაც ძალიან დამღლელია და ხშირად მომაბეზრებელიც, მაგრამ სპორტსმენის ერთ-ერთი უპირველესი ვალი ის არის, მძიმე ვარჯიშებს გაუძლოს. აქ დასახულ მიზანიც ძალიან გეხმარება.

● **სიტუაცია ხშირად იცვლებოდა: ზოგჯერ ლიდერი იყავი, ზოგჯერ მდევარი...**

— პირველივე ცდაზე მართლაც წინ გავედი, მაგრამ შეჯიბრების მეორე ნახევარში ხუთმა მეტოქემ გამისწრო. აი, სწორედ მაშინ, მეხუთე ცდაზე შევასრულე ის იღბლიანი ტყორცნა და 19 მეტრი და 84 სანტიმეტრი ვაჩვენე. სხვათა შორის, ამით გავაუმჯობესე საქართველოს რეკორდი, რომელსაც, მგონი 18 წელი არავინ „შეხებია“.

● **მეტოქეთა დაწინაურებამ „გაგაბრაზა“?**

— არა, მე ვცდილობ მეტოქეთა შედეგებს ყურადღება არ მივაქციო. ამან შეიძლება წონასწორობიდან გამოგიყვანოს და დაგაბნიოს. სექტორში მარტო რჩები შენს თავთან, ამიტომ შენით უნდა მიხვდე რა გიშლის ხელს საკუთარი შესაძლებლობის გამოვლენაში, მწვრთნელის დარიგებაც უნდა გაიხსენო. ფინალში ვიცოდი, რომ დაახლოებით ოც მეტრზე შემეძლო გადამეგდო იარაღი და მთელი ყურადღება ამაზე გადავიტანე.

● **ამ შეჯიბრებამდე ყველა წარმატება, მგონი, მხოლოდ იუნიორთა ასპარეზობებში გაქვს მოპოვებული.**

— იუნიორთა საკავშირო და საერთაშორისო შეჯიბრებაში რამდენჯერმე გავიმარჯვე, მაგრამ ეს წარმატება მაინც სხვა იყო, რადგან იმ შეჯიბრებებში გულშემატკივარი არა მყოლია. ახლა კი ამდენი ხალხი მქომაგობდით. ვგრძნობდი, ჩემი გამარჯვება ყველას გამარჯვება იქნებოდა და ამიტომ აღარ დავზოგე თავი, ალბათ ამიტომაც ვარ ასე გახარებული.

● **ახლა ბადროს მტყორცნელთა ფინალში მოხვდი...**

— დაღლილი კი ვარ, მაგრამ გუნდისთვის რამდენიმე ქულაც ძვირფასია, ამიტომ ბადროს ტყორცნაშიც გადავწყვიტე გამოსვლა. ამ სახეობაში დიდი ხანია არ მივარჯიშია და ამიტომ მიჭირს იმის თქმა როგორ შედეგს ვაჩვენებ.

## ელვა-ინფორმაცია

**მოსკოვში „კრილატსკოეს“ ოლიმპიურ სანიჩბოსნო არხზე გაიმართა ნიჩბოსან ქალთა სასპარტაკიადო შეჯიბრების ფინალური გაცურვები, რომლებშიც ჩვენი რესპუბლიკის ორმა ეკიპაჟმა იასპარეზა. მესაჭიანი ოთხადგილიანი გასაშლელი ნავებით შეჯიბრებაში ნატო ხინგავამ, ნინო ბექელაძემ, ლარისა მიქაძემ, ირინა ბულიგინამ და ირინე ყორყოლიანმა (მესაჭე) V ადგილი დაიკავეს და გუნდს 34 ქულა შესძინეს. ჩვენი მეორე ეკიპაჟის წევრები — ლალი სართიძე და დონა ომაროვა (უმესაჭო ორადგილიანი გასაშლელი) VI ადგილზე გავიდნენ (28 ქულა). სულ ჩვენმა ნიჩბოსანმა ქალებმა 62 ქულა მოაგროვეს და XI ადგილი დაიკავეს.**

## ჯერჯერობით ვერაფრით გაგვახარეს

**მოკრივეთა** სასპარტაკიადო ტურნირი ჯერ მხოლოდ ორი დღეა მიმდინარეობს, საქართველოს ნაკრების თორმეტკაციანმა კოლექტივმა კი უკვე თითქმის განახევრება მოასწრო. ასპარეზობის პირველ დღეს, როგორც ვიუწყებოდით, ბრძოლას გამოეთიშა ჩვენი რესპუბლიკის ორი წარმომადგენელი — გია წერედიანი (67 კგ) და ლევონ მარქარიანი (75 კგ). მწვრთნელებს იმედი ჰქონდათ, რომ მდგომარეობა მეორე დღეს გამოსწორდებოდა — რინგზე უნდა გამოსულიყო საქართველოს ნაკრების კიდევ სამი წევრი და საფიქრებელი იყო, რომ მეორე წრეში გასვლას ერთ-ერთი მათგანი მაინც შეძლებდა, მით უმეტეს, რომ ამ სამეულში, მართალია ახალგაზრდა, მაგრამ საკმაოდ გამოცდილი სპორტსმენები იყვნენ. ყველაზე დიდ იმედს მაინც ფოთელი სპორტის ოსტატის, სსრ კავშირის თასის მფლობელის, სსრ კავშირის ჩემპიონატისა და კეთილი ნების თამაშების მესამე პრიზიორის 22 წლის იური სავოჩკინის გამოსვლაზე ვამყარებდით. მისი მეტოქე, დნეპროპეტროვსკელი ანდრეი მიშინი მასზე სამი წლით უმცროსი იყო, რომელსაც, ცხადია, გამოცდილებაც ნაკლები ჰქონდა. სამწუხაროდ, იმედი არ გაგვიმართლდა — სავოჩკინი დამარცხდა და შეჯიბრებას გამოეთიშა. თანაგუნდელის ბედი გაიზიარა ქუთაისელმა მამუკა შალამბერიძემ (91 კგ). მეოთხედფინალის გზაზე მას ქდანოველი ვლადიმერ სტრუპოვი გადაეღობა.

ეს მოხდა 19 სექტემბერს, საღამოს, დილით კი სპორტკომპლექს „ოლიმპიისკის“ რინგზე კიდევ ერთი ქუთაისელი მოკრივე, 18 წლის დავით შარვაშიძე გამოვიდა, იგი შეებრძოლა ახალგაზრდა, 19 წლის ბაქოელ მოკრივეს ოგტაი იბრაჰიმოვს — მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადის ჩემპიონს, საკმაოდ პერსპექტიულ სპორტსმენს. შარვაშიძისგან ასეთ უინიციატივო, სუსტ გამოსვლას არავინ ელოდა. იგი ხომ სსრ კავშირის ჭაბუკთა პირველობის პრიზიორია და ასაკის კვალობაზე საკმაოდ ბევრი ბრძოლაც აქვს ჩატარებული — გუშინწინდელი შეხვედრა მისთვის 87-ე ოფიციალური შეხვედრა გახლდათ. სამწუხაროდ, ახალგაზრდა ქუთაისელმა სპორტსმენმა ვერაფერი დაუპირისპირა მეტოქეს და პირწმინდად დამარცხდა.

ერთი სიტყვით, ჩვენმა მოკრივეებმა ჯერჯერობით ვერაფრით გაგვახარეს — რინგზე ხუთი სპორტსმენი გამოვიდა და სარბიელი ხუთივემ დამარცხებულმა დატოვა. თავი იმით შეგვიძლია ვინუგეშოთ, რომ საქართველოს მოკრივეთა სასპარტაკიადო ყულაბას პარალელურ ჩასათვლელ ქულებს შემატებენ თბილისელები რუდიკ კაზანჯიანი და ნიკა სეთური, რომლებიც ამჟამად დანიაში ევროპის ჭაბუკთა პირველობაში მონაწილეობენ.

## მერვე ნახტომის ფასი

**წყალში** მხტომელთა შეჯიბრებაზე დიდ იმედებს ვამყარებდით ჩვენი ქვეყნის ექს-ჩემპიონ თბილისელ მოსწავლე დიანა მჭედლიძეზე („განთიადი“), რომლისგანაც 3-მეტრიანი ტრამპლინიდან ასპარეზობაში მედალს ველოდით. წინასწარი შეჯიბრება მან მართლაც მესამე შედეგით დაამთავრა და, რა თქმა უნდა, ფინალში გასვლის უფლება მოიპოვა. ოქროს მედლებისათვის მებრძოლთა შორის საუკეთესო შედეგები აღმოაჩნდათ რსფსრ-ის წარმომადგენლებს იურგენსონსა და ალიაბევას.

წინასწარ შეჯიბრებაში ერთხანს კარგად გამოდიოდა ჩვენი რესპუბლიკის მეორე წარმომადგენელი ლეილა გასპაროვაც. მას ნახტომების ერთ-ერთი სერიის შემდეგ მეოთხე შედეგი ჰქონდა, მაგრამ მერე ერთბაშად ყველაფერი წყალში გადაყარა და ფინალს მიღმა დარჩა. მან XIV ადგილი დაიკავა.

ფინალურ შეჯიბრებაში, როცა სავალდებულო ნახტომების სერია (5-5 ნახტომი) დამთავრდა, ლიდერთა სამეული ასე გამოიყურებოდა: მჭედლიძე, ბარანევა (უკრაინა), დოროშენკო (ლენინგრადი). წინასწარ შეჯიბრებაში გამარჯვებული იურგენსონი IV, ხოლო ალიაბევა VII იყო. ნამდვილი ბრძოლა მხოლოდ მას შემდეგ დაიწყო, როცა სპორტსმენები ნებისმიერ პროგრამაზე გადავიდნენ. აქ ყველაფერი თავდაყირა დადგა. მჭედლიძემ მერვე ნახტომი გააფუჭა და IV ადგილზე გადაინაცვლა. ლიდერობა კი ხელთ იგდეს იურგენსონმა და ბარანევამ, ხოლო ალიაბევამ მეშვიდედან მესამე ადგილზე გადაინაცვლა. დარჩენილი ორ-ორი ნახტომი დაწინაურებულმა სპორტსმენებმა კვლავ ბრწყინვალედ შეასრულეს. საბოლოოდ საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: იურგენსონი, ალიაბევა, დოროშენკო. მჭედლიძე IV ადგილზე დარჩა.

ახლა წყალში მხტომელთა ასპარეზობაში საქართველოს ნაკრები მესამე ადგილზეა. არის შანსი, რომ იგი საბოლოოდ ამ ადგილზე დარჩეს, რაც დაგეგმილს ორი საფეხურით გადააჭარბებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

### საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში

# გულშემატკივარი კმაყოფილი ტოვებდა სპორტის სასახლეს

დასასრული

ერის ვალდის ვალტერსისა (№ 10) და გელა დარსაძის დუელს. კაპიტნების ეს ორთაბრძოლა თავდაპირველად მასპინძლის უპირატესობით მიმდინარეობდა, მაგრამ ვალტერსმა თანდათან აუღო ალღო მეტოქის მოქმედებას. საბოლოოდ მან თავის გუნდს ყველაზე მეტი, 24 ქულა შესძინა, მაგრამ დარსაძის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მატჩის პირველ წუთებში მან თავგზა აურია ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ საუკეთესო კალათბურთელს და ამით დიდად შეუწყო ხელი თავის გუნდს. თუმცა შეხვედრის ამ მონაკვეთში რიგელები ლიდერის გარეშე მაინც არ დარჩენილან: მუჟნიეკსმა (№ 8) იმ 12 ქულის დიდი ნაწილი, რომელიც მან თავის კოლექტივს შესძინა, სწორედ პირველ წუთებში მოიპოვა.

თბილისელები ამ მატჩში კაპუსტინისა და დერიუგინის გარეშე თამაშობდნენ. მართალია, მოედანზე ორივე კალათბურთელი გამოვიდა, მაგრამ მათი თამაში მაყურებელს თითქმის არ უნახავს. დერიუგინმა სულ ორიოდე წუთი დაჰყო სარბიელზე, თავის გუნდს ორი ქულა შესძინა და... დაშავდა, კაპუსტინი კი 3-4 წუთით გამოდიოდა მოედანზე, საერთო ჯამში 10 წუთზე მეტი არ უთამაშია, მაგრამ „დინამოს" მაინც დიდი სარგებლობა მოუტანა. ყოველი მისი გამოჩენა საგრძნობლად აცოცხლებდა თბილისელთა თამაშს. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მის მიერ პირველი ტაიმის ბოლოს მოპოვებულ სამ ქულას. თბილისელებმა დროის ამ მონაკვეთში კვლავ შეძლეს დაწინაურებული მეტოქის უკან ჩამოტოვება: როცა ანგარიში იყო 35:38, თავი გამოიჩინა გიორგობიანმა: მან ჯერ სამქულიანი ტყორცნით გაათანაბრა ანგარიში, რამდენიმე წამში კი გუნდი დააწინაურა. საბოლოოდ ტაიმი თბილისელებმა მოიგეს — 45:41.

მეორე ნახევარში მასპინძლებს ხელიდან აღარ გაუშვიათ უპირატესობა. პირველი წუთშესვენება ლევან მოსეშვილმა მხოლოდ ასპარეზობის დამთავრებამდე წუთნახევრით ადრე აიღო. ეს იმაზე მიგვანიშნებს, რომ დინამოელთა უფროსი მწვრთნელი ასე თუ ისე კმაყოფილი იყო თავისი გუნდის თამაშით. მართლაც, თბილისელებს ურიგოდ არ უთამაშიათ, განსაკუთრებული ქების ღირსია გია სანაძე, რომელმაც 24 ქულა მოუტანა გუნდს, თანაც ექვსჯერ შეასრულა ზუსტი სამქულიანი ტყორცნა. გვახარებს ის, რომ ეს 21 წლის კალათბურთელი დღითი დღე ხვეწს თავის ოსტატობას.

მატჩის შემდეგ დინამოელთა გულშემატკივრები კმაყოფილნი ტოვებდნენ სპორტის სასახლეს, რადგან თბილისელებმა ამ დღეს მართლაც კარგად ითამაშეს და დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვეს.

**ზურაბ ფოცხვერია.**

**გათამაშების ცხრილი**

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| ცსკა | 2 | 2 | 0 | 178-148 | 4 |
| „დინამო" (თბ.) | 2 | 2 | 0 | 176-150 | 4 |
| „სტროიტ." (კიევი) | 2 | 1 | 1 | 168-164 | 3 |
| რტი (მინსკი) | 2 | 1 | 1 | 156-155 | 3 |
| „დინამო" (მოსკ.) | 2 | 1 | 1 | 173-174 | 3 |
| „სტატიბა" (ვილნ.) | 2 | 1 | 1 | 159-167 | 3 |
| „შახტ." (დონ.) | 2 | 1 | 1 | 160-169 | 3 |
| ასკ (კიევი) | 1 | 1 | 0 | 90-79 | 2 |
| ვეფ (რიგა) | 2 | 0 | 2 | 165-182 | 2 |
| ასკ (ალმა-ათა) | 2 | 0 | 2 | 141-176 | 2 |
| „სპარტაკი" (ლენ.) | 1 | 0 | 1 | 79-81 | 1 |
| „ჟალგირ." (კაუნ.) | — | — | — | — | — |

**შენიშვნა:** კაუნასის „ჟალგირისი" საკავშირო ჩემპიონატში ჯერ არ ჩართულა, ამიტომ ლენინგრადის „სპარტაკსა" და კიევის არმიელებს ჯერჯერობით თითო შეხვედრა აქვთ ჩატარებული.

**გუშინ** თბილისის „დინამომ" დაამარცხა ვილნიუსის „სტატიბა" — 89:87. მოსკოვის „დინამომ" წააგო შეხვედრა რიგის ვეფ-თან — 83:85.

# სენსაცია აღარ მოხდა

**გაიმართა უმაღლესი ლიგის კალათბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის შორიგი მატჩები.**

**ლენინგრადი.** კაუნასის „ჟალგირისი" ჯერ ვერ შეუერთდა ჩემპიონატის მონაწილეებს, ამიტომ აქ დღეში მხოლოდ ერთი შეხვედრა ტარდება. მაყურებლები ინტერესით მოელოდნენ დონეცკის „შახტიორის" მორიგ გამოსვლას კიევის არმიელებთან, მაგრამ ამჯერად მოულოდნელი არაფერი მომხდარა. ჩემპიონატის დებიუტანტმა ლენინგრადის „სპარტაკთან" გამარჯვებას, როგორც ჩანს, მთელი ენერგია შეალია და მეორე შეხვედრა შედარებით უფერულად ჩაატარა.

მაგრამ ესეც არის — უკრაინელმა კალათბურთელებმა თამაში ყურადღებით დაიწყეს და მთელი შეხვედრის მანძილზე არ მოუდუნებიათ იგი იმის შიშით, რომ დაუგეგმავი მარცხი არ განეცადათ. პირველი ტაიმი არმიელებმა 9 ქულით მოიგეს — 45:36, მეორეში კი ამ უპირატესობას კიდევ 2 ქულა დაამატეს და საბოლოო ჯამში გაიმარჯვეს ანგარიშით 90:79.

**მინსკი.** კარგ შთაბეჭდილებას სტოვებს უმაღლესი ლიგის მეორე დებიუტანტი ალმა-ათის ასკ-იც. ამჯერად იგი ტურის მასპინძელს მინსკის რტი-ს შეხვდა. მინსკელებმა პირველი ტაიმი 8 ქულით მოიგეს (43:35), მაგრამ თამაშის მსვლელობიდან გამომდინარე ეს სხვაობა არ ჩანდა საიმედო.

მეორე ტაიმი დებიუტანტმა ერთი ქულით მოიგო, მაგრამ ეს ქულა საბოლოო წარმატებისთვის, ცხადია, არ იყო საკმარისი. რტი-მ გაიმარჯვა — 79:72.

ცსკა-სა და კიევის „სტროიტელის" ორთაბრძოლაში შეხვედრის ბედი ფაქტიურად პირველსავე ტაიმში გადაწყდა. 22-ქულიანი სხვაობა (52:30) საბჭოთა კავშირის ვიცეჩემპიონს წარმატების საიმედო გარანტიას აძლევდა.

სურათი არც მეორე ნახევარში შეცვლილა. ცსკა მდგომარეობის ბატონ-პატრონად დარჩა და სატურნირო ცხრილში მეორე გამარჯვება ჩაიწერა — 95:71.

### საბჭოთა კავშირის პირველობა ხელბურთში

# პირველი ტურის შემდეგ

**კრასნოდარსა** და ასტრახანში დამთავრდა უმაღლესი ლიგის ხელბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის პირველი წრის პირველი ტურის მატჩები.

კრასნოდარში წარუმატებლად გამოვიდნენ საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ხელბურთელები, რომლებმაც ხუთივე კალენდარული შეხვედრა დათმეს (ბოლო ორ ტურში ადგილობრივი ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდთან და ტირასპოლის გუნდთან დამარცხდნენ, შესაბამისად 16:28 და 26:27).

ამ ჯგუფში ოთხ-ოთხი შეხვედრა მოიგეს და 8 ქულით პირველ-მეორე ადგილებს იყოფენ მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტისა და მინსკის არმიელთა კოლექტივები. 6-6 ქულა აქვთ ადგილობრივ სკიფ-სა და ჩელიაბინსკის „პოლიოტს". მეხუთე ადგილზეა ტირასპოლის გუნდი (2 ქულა), მეექვსეზე კი თბილისის სპი.

ასტრახანის ჯგუფში პირველი ტურის შემდეგ ადგილები ასე განაწილდა: 1. ცსკა — 8 ქულა, 2. „დინამო" (ასტრახანი) — 6, 3-6. ასკ (კიევი), ზიი (ზაპოროჟიე), „გრანიტასი" (კაუნასი) და „ნევა" (ლენინგრადი) — 4-4 ქულა.

### საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ძიუდოში

**ხშირად ამბობენ, ჩემპიონობის შენარჩუნება უფრო ძნელია, ვიდრე მოპოვებაო. ამ მოსაზრების სისწორეში გორელი ძიუდოისტი კობა კურტანიძეც დარწმუნდა; გაოცებულმა თქვა, შარშან, ჩელიაბინსკში ასე არ გამჭირვებიაო. ჩელიაბინსკში, გეხსომებათ, კურტანიძემ საბჭოთა კავშირის ჩემპიონის პირველი ოქროს მედალი მოიპოვა. გავიდა ერთი წელი და ჩვენს ფალავანს კვლავ გამარჯვებულის კვარცხლბეკზე ვხედავთ — კურტანიძე უკვე საბჭოთა კავშირის ორგზის ჩემპიონია. მისთვის მოსკოვის ტატამიც იღბლიანი გამოდგა.**



# ორგზის ჩემპიონი

ძიუდოისტთა მე-14 საკავშირო ჩემპიონატი გუშინწინ დაიწყო „დრუჟბას" უნივერსალურ სპორტულ დარბაზში. ეს შეჯიბრება ვლადივოსტოკში უნდა გამართულიყო, მაგრამ იქ დიდი სპორტული კომპლექსის მშენებლობის დამთავრება ვერ მოასწრეს და ამიტომ ჩემპიონატი მოსკოვში ტარდება. პირველ დღეს, ტრადიციისამებრ, ბრძოლაში ჩაებნენ ქვემძიმე და მძიმე წონითი კატეგორიების მოჭიდავეები. ამ წონებში საქართველოს ექვსი წარმომადგენელი ცდიდა ძალას: ქვემძიმეში კობა კურტანიძე და გიორგი მუმლაძე, მძიმეში — მალხაზ ბერუაშვილი, აჟაკი კიბორძალიძე; ავთანდილ გუბელაძე და ვალერი პარუნაშვილი. მათ შორის მუმლაძე და პარუნაშვილი შედარებით ახალგაზრდები არიან, დანარჩენებს კი არც გამოცდილება აკლიათ და არც სპორტული ტიტულები.

მძიმეწონოსანთა ტურნირში გამარჯვებისთვის 32 ფალავანი იბრძოდა. ქართველ სპორტსმენთა გულშემატკივრებს იმედი ჰქონდათ, რომ პრიზიორთა შორის ჩვენი ერთი ძიუდოისტი მაინც მოხვდებოდა. სამწუხაროდ, მოლოდინი არ გაგვიმართლდა. კიბორძალიძე პირველივე წრეში დამარცხდა კუიბიშეველ ვლადიმერ ზიაბჩენკოსთან, დანარჩენებს კი მეორე წრეში მოეცარათ ხელი. ბერუაშვილი კუიბიშეველ სერგეი კოსოროტოვთან დამარცხდა. პარუნაშვილი — ასევე კუიბიშეველ ხაბილ ბიქთაშევთან, გუბელაძე კი ოდესელ მაიზერ ჯაფარიძესთან. ამ წონის ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ევროპის მრავალგზის ჩემპიონი ჩელიაბინსკელი გრიგოლ ვერიჩევი და 21 წლის კოსოროტოვი. ვერიჩევმა წმინდად გაიმარჯვა და ჩემპიონატის პირველი ოქროს მედალი მიიღო.

პარალელურად მიმდინარეობდა ქვემძიმე წონის მოჭიდავეთა ასპარეზობა. სასტარტო შეხვედრაში ორივე ქართველმა სპორტსმენმა გაიმარჯვა. კურტანიძემ პირველივე წუთზე ვაზარი აართვა გროდნოელ სერგეი დოლინინს და ეს უპირატესობა ხელიდან აღარ გაუშვია. მუმლაძემაც ვაზარით დაამარცხა მინსკელი ვიქტორ ვორობიოვი. მეორე წრე: კურტანიძემ ამჯერად მოსკოველი ნიკოლაი ქიხარევი ჩამოიცილა გზიდან და კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა წინ, მუმლაძემ კი ვერაფერი გააწყო ლენინგრადელ ანდრეი გრიშინთან. მესამე წრე: კურტანიძე — ილდარ ხუსნუტდინოვი (ტაშკენტი). ჩვენმა ფალავანმა მეორე წუთზე იუკო დაიმსახურა, მაგრამ შეხვედრის დამთავრებამდე წუთნახევრით ადრე მეტოქემ იმარჯვა და ანგარიში გაათანაბრა. ამას კურტანიძის საპასუხო გდება მოჰყვა, რომელიც მსაჯებმა იუკოთი შეაფასეს და ამასობაში დროც ამოიწურა.

ნახევარფინალში კურტანიძის მეტოქე იყო კაუნასელი ვლადას ბურბა (სხვათა შორის, ლიტველმა ძიუდოისტმა მეორე წრეში ჩემპიონატის ერთ-ერთ ფავორიტი ბრიანსკელი ვალერი დივისენკო დაამარცხა). ეს შეხვედრა კურტანიძის აშკარა უპირატესობით წარიმართა: მე-10 წამზე იგი იუკოს იგებდა, შემდეგ კიდევ ერთი იუკო და კოკა დაიმსახურა და ფინალში გავიდა. მეორე ქვეჯგუფიდან ფინალის საგზურს, სპეციალისტების აზრით, კრასნოიარსკელი ვიქტორ პოდუბნი უნდა დაუფლებოდა, მაგრამ იგი პირველივე წრეში დამარცხდა და ფინალში მოსკოველი იური პარშინი გავიდა.

კურტანიძე-პარშინის ფინალური ბრძოლის დაწყებამდე საბჭოთა კავშირის ძიუდოისტთა ნაკრების უფროს მწვრთნელს გენადი კალეტკინს გავესაუბრეთ: „მართალია, ახლა კურტანიძე ჩვენი გუნდის ლიდერია ქვემძიმე წონაში, მაგრამ არც პარშინია ხელწამოსაკრავი მოჭიდავე. შეხვედრა უთუოდ საინტერესო იქნება. ვინ გაიმარჯვებს? ალბათ კურტანიძე, მაგრამ პარშინი რომ იოლად არაფერს თმობს?"

კალეტკინი მართალი გამოდგა. ოთხი წუთი ისე მიილია, მეტოქეებმა ვერაფერი მოუხერხეს ერთმანეთს, მაგრამ კურტანიძე თურმე ხელსაყრელ მომენტს უცდიდა: ეფექტური გდებით ტატამზე დასცა მეტოქე და წმინდა გამარჯვება მოიპოვა. მაყურებელმა ტაშით გააცილა საბჭოთა კავშირის ორგზის ჩემპიონი.

პრიზიორთა დაჯილდოების შემდეგ კურტანიძეს ავტოგრაფებზე მონადირე გოგო-ბიჭები შემოეხვივნენ. მერე ტელევიზიისთვის სახელდახელო ინტერვიუც ჩამოართვეს, ბოლოს ჩვენი ჯერიც დადგა.

**ინტერვიუ კვარცხლბეკთან:**

◉ **კობა, სად უფრო გაგიძნელდათ გამარჯვების მოპოვება, აქ თუ ჩელიაბინსკში?**

— თურმე ტყუილად არ ამბობენ, ჩემპიონობის შენარჩუნება უფრო ძნელიაო. შეჯიბრებების დაწყებამდე, როგორც წესი, ოთხ-ხუთ კილოგრამს ვიკლებ ხოლმე და პირველ შეხვედრებში როგორღაც მძიმედ ვჭიდაობ. ამჯერადაც ასე მოხდა: ქვეჯგუფში წმინდად ვერც ერთი შეხვედრა ვერ მოვიგე.

◉ **სამაგიეროდ, ფინალში იყოჩაღეთ. პარშინს აქამდე თუ შეხვედრიხართ?**

— არა. იგი ადრე 86 კგ წონით კატეგორიაში გამოდიოდა. პოდუბნიც ამ წონით კატეგორიიდან გადმოვიდა. რატომღაც მეგონა, რომ ფინალში პოდუბნისთან მომიწევდა ჭიდაობა.

◉ **ფინალური შეხვედრის კულმინაციური მომენტიც გავიხსენოთ.**

— როცა შეხვედრის დამთავრებამდე აღარაფერი რჩებოდა, ვიფიქრე, ახლა დროა, რაღაცა ვილონო-მეთქი. ვიგრძენი, რომ მეტოქე წამით მოდუნდა, წონასწორობა დაკარგა. მეც ხელი გადავავლე და მოგვერდით გადავაგდე. პარტერში უცებ დამნებდა, ისე მყავდა შებოჭილი, რომ წინააღმდეგობის გაწევას აზრი აღარ ჰქონდა.

◉ **წელს თქვენ სამი დიდი შეჯიბრება მოიგეთ — თბილისის საერთაშორისო ტურნირი, ხალხთა სპარტაკიადა და საკავშირო ჩემპიონატი. ამ სეზონში კიდევ გიწევთ გამოსვლა?**

— ალბათ იაპონიაში, კოდოკანის დიდ საერთაშორისო ტურნირზე გავემგზავრები. თუმცა მწვრთნელებს გუნდი ჯერ არ შეუკრავთ. გასად მსოფლიო ჩემპიონატია, მერე ოლიმპიური თამაშები. მე ამ შეჯიბრებებზეც ვფიქრობ.

**ტექნიკური შედეგები:**

**95 კგ. 1. კ. კურტანიძე (თბილისი), 2. ი. პარშინი (მოსკოვი), 3. ვ. დივისენკო (ბრიანსკი) და ვ. ვორობიოვი (მინსკი).**

**+ 95 კგ. 1. გ. ვერიჩევი (ჩელიაბინსკი), 2. ს. კოსოროტოვი (კუიბიშევი), 3. ა. შუროვი (კურსკი) და ხ. ბიქთაშევი (კუიბიშევი).**

### რა გაკეთდა „ლელოს" კრიტიკული გამოსვლის შემდეგ?

# პარკში მუშაობა გამოცოცხლდა

**შარშან,** 9 ოქტომბერს, ჩვენი გაზეთის ფურცლებზე ვწერდით, რომ ბოლნისის კულტურისა და დასვენების პარკში ჩამკვდარი იყო მუშაობა, გამოუყენებელი რჩებოდა კარგი შესაძლებლობები, რაიონში ერთ-ერთი საუკეთესო ღია კალათბურთის მოედანი ამ პარკში იყო და ისიც გაუუქმებიათ.

მას შემდეგ თითქმის წელიწადი გავიდა. ამ დღეებში ეს პარკი კვლავ მოვინახულეთ. ადრინდელთან შედარებაც არ შეიძლებოდა, გატყიურებული პარკი მოვლილი და დასუფთავებულ-გალამაზებული დაგვხვდა. აღუდგენიათ კალათბურთის მოედანიც, სადაც ახლა მუდამ ხალხმრავლობაა, პარკის ადმინისტრაციას დიდ დახმარებას უწევს რაიონის ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლა. ხშირად აქაურ მოედანზე რაიონული შეჯიბრებებიც ტარდება.

კულტურის ამ კერას ირგვლივ შესანიშნავი ტყე-პარკი აკრავს. უკვე დაუწყიათ ჯანმრთელობის ბილიკის კეთილმოწყობა იმ მარშრუტით, რომელიც ასე იზიდავს გამაჯანსაღებელი რბენისა და სიარულის მოყვარულებს. მალე აქ ველობილიკიც ექნებათ, მუშაობს მაგიდის ჩოგბურთის პავილიონი. აღუდგენიათ ღია საჭიდაო წრე. პარკის სპორტულმა ბაზებმა წელს ფიზკულტურელისა და ცოდნის დღესთან დაკავშირებულ მასობრივ ღონისძიებებსაც უმასპინძლა. ახლახან პარკის დირექციამ საჭიდაო ლეიბებიც შეიძინა, სურთ ჭიდაობის ბევრი მოყვარულის სურვილი დააკმაყოფილონ, მაგრამ...

ჯერჯერობით ლეიბების გასაშლელი დახურული სარბიელი ვერ გამოუძებნიათ. ჩვენი ყურადღება მიიპყრო კინოკლუბმა, რომელიც გამოკეტილია.

პარკის დირექტორმა იური კუხალაშვილმა გვითხრა: ეს კლუბი დიდი ხანია უქმად ცდება, შარშან ორი თვე იმუშავა, წელს საერთოდ არ გაუღიათ, ამბობენ ელექტროგაყვანილობა არ არის წესრიგშიო. რაიონის ცენტრში ახალი კინოთეატრი აუგიათ, როგორც ჩანს, ძველი ფაქტიურად აღარ არის საჭირო, მაგრამ იგი ძალზე საჭიროა ფიზკულტურელებისა და სპორტსმენებისთვის. იქნებ ღირს ამაზე დაფიქრება?

**„ლელოს" ბრიგადა.**

# ფედერაციის თასი

**ფეხბურთის მოყვარულთა ყურადღება, უდავოდ, მიიპყრო უმაღლესი ლიგის გუნდების წლევანდელმა ახალმა საკავშირო შეჯიბრებამ, რომელსაც სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის თასის გათამაშება ეწოდება. იგი იმართება საკავშირო საკლუბო ჩემპიონატების 50 წლისთავის აღსანიშნავად.**

დღეს ქუთაისში ერთმანეთს შეხვდებიან ადგილობრივი „ტორპედო“ და თბილისის „დინამო“, საქართველოს ტელევიზია ამ მატჩის რეპორტაჟს გადასცემს 21 საათიდან (II ტაიმი), დღესვე გაიმართება ტურის სხვა შეხვედრებიც: „ნეფთჩი“ (ბაქო) — „არარატი“ (ერევანი), „შახტიორი“ (დონეცკი) — „ჩერნომორეცი“ (ოდესა), „მეტალისტი“ (ხარკოვი) — „ჟალგირისი“ (ვილნიუსი), 22 სექტემბერს ერთმანეთს შეხვდებიან „დინამო“ (მოსკოვი) — „სპარტაკი“ (მოსკოვი), „დინამო“ (კიევი) — „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი), „დინამო“ (მინსკი) — „ზენიტი“ (ლენინგრადი). პირველი ტურის ბოლო მატჩი შედგება 23 სექტემბერს მოსკოვის „ტორპედოსა“ და ალმა-ათის „ქაირათს“ შორის. მეორე ტურის შეხვედრები გაიმართება 26,27 და 28 სექტემბერს, შემდეგ, 4-6 ოქტომბერს, განახლდება საკავშირო ჩემპიონატის მატჩები (25-ე ტური), ფეხბურთის ფედერაციის თასის მე-3 ტურის მატჩები კი დამთავრდება 12 ოქტომბერს.

შეგახსენებთ, რომ სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის თასის მონაწილე უმაღლესი ლიგის 16 გუნდი დაყოფილია 4 ჯგუფად:

**„ა“ ჯგუფი** — „არარატი“ (ერევანი), „დინამო“ (თბილისი), „ნეფთჩი“ (ბაქო), „ტორპედო“ (ქუთაისი).

**„ბ“ ჯგუფი** — „დინამო“ (მოსკოვი), „ქაირათი“ (ალმა-ათა), „სპარტაკი“ (მოსკოვი), „ტორპედო“ (მოსკოვი).

**„გ“ ჯგუფი** — „დინამო“ (კიევი), „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი), „ჩერნომორეცი“ (ოდესა), „შახტიორი“ (დონეცკი).

**დ“ ჯგუფი** — „დინამო“ (მინსკი), „ჟალგირისი“ (ვილნიუსი), „ზენიტი“ (ლენინგრადი), „მეტალისტი“ (ხარკოვი).

გათამაშების შემდგომ, ნახევარფინალურ ეტაპზე ერთმანეთს შეხვდებიან ჯგუფებში გამარჯვებული გუნდები, მასპინძელთა ვინაობას გაარკვევს წილისყრა. ფინალური მატჩი შედგება ნეიტრალურ მინდორზე იმ დღეს, რომელსაც განსაზღვრავენ სსრ კავშირის სპორტსახკომის ფეხბურთის სამმართველო და სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაცია.

თასის მატჩების მსვლელობაში ნებადართულია 3 მოთამაშის შეცვლა. 24 სექტემბერს სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში შეხვდება ისლანდიის გუნდს (რეიკიავიკში), 1 ოქტომბერს გაიმართება ევროპის საკლუბო ჩემპიონატების პირველი წრის საპასუხო მატჩები, მაგრამ უმაღლესი ლიგის გუნდების უმრავლესობა ამ პერიოდში მოკლებულია სათამაშო პრაქტიკას, ფედერაციის თასის მატჩები მათ საშუალებას მისცემს განაგრძონ საშეჯიბრებო ციკლი და გამოსცადონ ახალი ფეხბურთელები, რომლებმაც ახლო მომავალში უნდა დაიკავონ ადგილი ძირითად შემადგენლობებში.



გარი კასპაროვისა და ანატოლი კარპოვის მატჩ-რევანში ჭადრაკში მსოფლიო ჩემპიონის სახელისათვის



# მეთვრამეტე პარტია

თუ გახსოვთ, ჯერ კიდევ „ლონდონის მიკრო-მატჩის“ დასაწყისში ვწერდით, კარპოვი ვერა და ვერ შეელია ნიმცოვიჩის დაცვასო, რომელმაც მას მეტად ცუდი სამსახური გაუწია. მას შემდეგ თვეზე მეტი გავიდა და აი, თოთხმეტი პარტიის შემდეგ, ყველასათვის მოულოდნელად, მსოფლიოს ექსჩემპიონმა კვლავ ამ ვარიანტს მიმართა.

მძაფრ ბრძოლაში მოჭადრაკეებს მალე წამოეპარათ ცაიტნოტი. სხვათა შორის, ამ მეტოქეებს ჯერ არც ერთ წინა შეხვედრაში ასე სწრაფად არ განუცდიათ დროის სიმცირე.

როგორც პრესცენტრში აღნიშნეს, შექმნილ პოზიციაში თეთრებს უფრო მდიდარი შესაძლებლობები ჰქონდათ, კასპაროვი ინიციატივას ფლობდა და თვალი ერთთავად მეფის ფრთისკენ ეჭირა. მაგრამ აქ საქმეში ცაიტნოტი ჩაერია. სიჩქარეში მსოფლიო ჩემპიონმა გარეგნულად ეფექტური, მაგრამ მცდარი სვლა გააკეთა (ეh7), რომელმაც უმალ შეცვალა სიტუაცია დაფაზე. თუმცა კასპაროვის a პაიკი ლაზიერად მძევს აპირებს, მაგრამ კარპოვსაც არანაკლებ სახიფათო იერიშის წამოწყება შეუძლია. მაგრამ გარკვეულად რაიმეს თქმა ჯერჯერობით ძალიან ძნელია. პარტია რთულ პოზიციაში გადაიდო და მხოლოდ ღრმა ანალიზი გვიჩვენებს, ვის უფრო მეტი შანსი აქვს გამარჯვებისა.

**გ. კასპაროვი — ა. კარპოვი**

**ნიმცოვიჩის დაცვა.**

1. d4 მf6 2. c4 e6 3. მf3 b6 4. მc3 კb4 5. კg5 კb7 6. e3 h6 7. კh4 კ:c3+ 8. bc d6 9. მd2 g5 10. კg3 ლe7 11. a4 a5 12. h4 ეg8 13. hg hg 14. ლb3 მa6 15. ეb1 მფf8 16. ლd1 კc6 17. ეh2 მფg7 18. c5 bc 19. კb5 მb8 20. dc d5 21. კe5 მფf8 22. ეh6 მe8 23. ლh5 f6 24. ეh7 მg7 25. ლf3 მფf7 26. ლh5+ მფf8 27. ლf3 მფf7 28. ეh6 მe8 29. e4 g4 30. ლf4 კ:b5 31. ე:b5 მd7 32. კ:c7 მ:c5 33. ლe3 მ:e4 34. მ:e4 de 35. კ:a5 f5 36. კb4 ლd7 37. ლd4 ეa7 38. ეh7+ მg7 39. a5 მფg6 40. ლ:d7 ე:d7. პარტია გადაიდო.

მატჩის ანგარიში ჯერჯერობით კვლავ 9,5:7,5 კასპაროვის სასარგებლოდ.

## I ლიგა

**19 სექტემბერს გაიმართა I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების 36-ე ტურის მატჩები.**

**„დინამო“ (ბათუმი) — „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) 1:0 (0:0)**

**ბათუმი. „დინამოს“ სტადიონი. 19 სექტემბერი.**

**„დინამო“: მამინაშვილი, გოგიტიძე, ანდღულაძე, დურდიაძე, ჩიქოვანი, ზედანია, კიკლიაშვილი (მენაბდე), ათუაშვილი, კაკაბაძე, გორგილაძე, მაისურაძე (პაიჭაძე).**

**„ლოკომოტივი“: შირიაევი, ბოკიი, გორლუკევიჩი, ბაზულევი, ტერენინი, მილეშკინი, ბოდროვი (გლადილინი), კალაშნიკოვი, კოლესნიკოვი, პავლოვი (შიშკინი), დროჟინი.**

**მსაჯი ვ. იუშინი (რიგა).**

**გააფრთხილეს ანდღულაძე, ბაზულევი.**

მეტოქეები გათამაშების ცხრილში ახლო მეზობლებად იმყოფებოდნენ, პირველ წრეში კი ბათუმის დინამოელებმა მოსკოვში მოუგეს ლოკომოტიველებს, ამდენად გასაგებია ამ უკანასკნელთა სწრაფვა რევანშის ასაღებად.

თამაშის პირველივე წუთებზე ორივე გუნდის კართან სახიფათო მომენტები ვერ გამოიყენეს კიკლიაშვილმა და პავლოვმა, შემდეგ მეკარესთან პირისპირ გასულმა გორგილაძემ დაკარგა ბურთის გატანის კარგი შესაძლებლობა.

შესვენების შემდეგ მძიმე სამუშაო გაუჩნდა მეკარე შირიაევს, გადამწყვეტი გოლი კი გატანილი იქნა 82-ე წუთზე: მენაბდე-პაიჭაძე-ზედანია-გორგილაძის მრავალსვლიანი კომბინაცია ზუსტი დარტყმით დაამთავრა გორგილაძემ — 1:0.

**ოთარ მურვანიძე.**
**(ტელეფონით, ჩვენი კორ.).**

როგორც ვიუწყებოდით, ლანჩხუთის „გურიამ“ ამ დღეს მარცხი განიცადა ცსკა-სთან შეხვედრაში.

**შემდგომ ტურში (25 სექტემბერს) ბათუმის დინამოელები შინ მიიღებენ აბოვიანის „კოტაიკს“, 28 სექტემბერს კი ლანჩხუთის „გურია“ ორჯონიკიძეში შეხვდება „სპარტაკს“.**

**მოგვყავს ტურის სხვა შეხვედრათა შედეგები:** „კუზბასი“ (კემეროვო) — „ატლანტასი“ (კლაიპედა) 5:0, ასკ (ხაბაროვსკი) — „დაუგავა“ (რიგა) 0:1, „ისკრა“ (სმოლენსკი) — „ყუბანი“ (კრასნოდარი) 1:0, „შინიკი“ (იაროსლავლი) — ასკ (დონის როსტოვი) 0:1, „კოტაიკი“ (აბოვიანი) — „ფაკელი“ (ვორონეჟი) 2:0, „როტორი“ (ვოლგოგრადი) — „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) 2:0, „როსტსელმაში“ (დონის როსტოვი) — „ნისტრუ“ (კიშინიოვი) 7:0, „დინამო“ (სტავროპოლი) — ასკ „კარპატი“ (ლვოვი) 0:2, „კოლოსი“ (ნიკოპოლი) — „პამირი“ (დუშანბე) 2:0, „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) — „ფახთაქორი“ (ტაშკენტი) 2:0.

**გათამაშების ცხრილი**

**მდგომარეობა 21 სექტემბრისთვის**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დაუგავა“ | 34 | 21 | 8 | 5 | 68-36 | 50 |
| „გურია“ | 35 | 19 | 5 | 11 | 51-49 | 43 |
| ასკ „კარ.“ | 35 | 16 | 10 | 9 | 52-38 | 42 |
| „როტორი“ | 34 | 18 | 4 | 12 | 54-41 | 40 |
| ცსკა | 33 | 17 | 6 | 10 | 48-32 | 40 |
| „შინიკი“ | 35 | 14 | 12 | 9 | 33-25 | 40 |
| „პამირი“ | 34 | 15 | 9 | 10 | 53-34 | 39 |
| „დინამო“ ბ. | 35 | 16 | 6 | 13 | 38-45 | 38 |
| „ლოკომოტ.“ | 34 | 14 | 10 | 10 | 44-34 | 38 |
| „როსტს.“ | 34 | 13 | 10 | 11 | 63-49 | 36 |
| „კოლოსი“ | 33 | 13 | 10 | 10 | 34-33 | 36 |
| „მეტალურ.“ | 34 | 14 | 6 | 14 | 46-39 | 34 |
| ასკ რ. | 34 | 13 | 8 | 13 | 42-34 | 34 |
| „ფახთაქ.“ | 34 | 13 | 8 | 13 | 40-47 | 34 |
| „ფაკელი“ | 34 | 13 | 7 | 14 | 36-36 | 33 |
| „სპარტაკი“ | 35 | 10 | 12 | 13 | 44-46 | 32 |
| „კუზბასი“ | 34 | 10 | 11 | 13 | 43-47 | 31 |
| „დინ.“ სტ. | 34 | 9 | 12 | 13 | 46-42 | 30 |
| „ყუბანი“ | 34 | 9 | 12 | 13 | 29-36 | 30 |
| „კოტაიკი“ | 35 | 9 | 12 | 14 | 32-40 | 30 |
| „ისკრა“ | 35 | 9 | 10 | 16 | 24-44 | 28 |
| ასკ ხ. | 34 | 8 | 10 | 16 | 37-49 | 26 |
| „ატლანტ.“ | 34 | 5 | 10 | 19 | 26-56 | 20 |
| „ნისტრუ“ | 35 | 5 | 8 | 22 | 24-75 | 18 |

### საკავშირო პრესის ფურცლებზე

# გამარჯვებულის რანგში

**თბილისში,** ვაზისუბნის დასახლებაში მდებარე 92-ე საშუალო სკოლის მოსწავლეებმა ახალი სასწავლო წელი დაიწყეს ტრადიციული რესპუბლიკური სპორტული თამაშების „იმედის სტარტებში“ გამარჯვებულთა რანგში. მათ გაიმარჯვეს მძლეოსნურ მრავალჭიდში, ცურვაში და პნევმატური იარაღით სროლაში.

მეშვიდე წელია ამ სკოლის მოსწავლეები პირველობას არავის უთმობენ საქალაქო და რესპუბლიკურ შეჯიბრებებში. არც არის გასაკვირი. სკოლის დირექტორის რ. ძამოევის, ფიზკულტურის უფროსი მასწავლებლის ა. ავდოევის ინიციატივითა და რესპუბლიკის განათლების სამინისტროს მხარდაჭერით აქ გახსნილია გახანგრძლივებული დღის სპორტული კლასები.

ყმაწვილთა უმრავლესობა რესპუბლიკის ნაკრებების წევრია. შარშან, მაგალითად, სკოლის გუნდმა საკავშირო ასპარეზობა „მეგობრობაზე“ გაიმარჯვა მძლეოსნურ ოთხჭიდში და უფლება მოიპოვა პოლონეთის ქალაქ ზელიონა გურაში გამართულ შეჯიბრებაში დაეცვა ჩვენი ქვეყნის ღირსება. ამ წარმომადგენლობით ტურნირში სოციალისტური ქვეყნების გუნდებთან ერთად ფინელი და ფრანგი ნორჩი სპორტსმენებიც მონაწილეობდნენ. თბილისელმა სპორტსმენებმა აქაც პირველი ადგილი დაიკავეს.

**თბილისი. (საკდესის კორ.).**
**„სოვეტსკი სპორტი“, 20. IX 1986 წ.**

# SOS დამნაშავენი უნდა დაისაჯონ

**19 სექტემბერს რუსთავის „მეტალურგის“ სტადიონზე შედგა II ლიგის IX ზონის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების კალენდარული მატჩი. ადგილობრივმა „მეტალურგმა“ მიიღო სამტრედიის „ლოკომოტივი“.**

**ახლა, როცა ზონის შეჯიბრება დასასრულს უახლოვდება, როცა თითოეულ ქულას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება, გასაგებია ის დაძაბულობა, რომელიც თან ახლავს ყოველ მატჩს. სამტრედიელი ფეხბურთელები ახლა საპრიზო ხამეულში მოსახვედრად იბრძვიან, რუსთავის „მეტალურგი“ კი ცხრილის შუაგულშია და პერსპექტივა აქვს გაიუმჯობესოს სატურნირო მდგომარეობა. ამ სიტუაციაში ორივე გუნდის ფეხბურთელები უკომპრომისო ბრძოლის სურვილით აღვსილნი გამოვიდნენ მინდორზე.**

**მაგრამ ბრძოლის სურვილი ერთია, მისი განხორციელებისთვის გამოყენებული საშუალებანი კი სულ სხვა.**

**დაძაბულობა, ნერვიულობა იგრძნობოდა არა მარტო ფეხბურთელთა, არამედ მაყურებელთა გარკვეულ ჯგუფებს შორისაც, ამის გამო იყო, რომ თამაში თავიდანვე უდისციპლინოდ, ხშირი ექსცესებით მიმდინარეობდა.**

**მაგრამ დაძაბულობამ კულმინაციას მეორე ტაიმში მიაღწია, ორივე გუნდის ფეხბურთელები თანდათან კარგავდნენ კონტროლს საკუთარ საქციელზე, მინდორზე თითქმის განუწყვეტლივ ხდებოდა წესრიგის დარღვევა, შეტაკებანი, უხეშობა, წრესგადასული, უტაქტო გამოხდომები მსაჯთა მიმართ, თბილისელ არბიტრს ე. სილაგავას სულ უფრო ხშირად უხდებოდა სანქციების მიღება თავაშვებულ ფეხბურთელთა მიმართ. გაფრთხილება მიიღო რუსთაველმა უგულავამ, ჯერ გააფრთხილეს, შემდეგ კი მინდვრიდან გააძევეს სამტრედიელი თვალაბეიშვილი, სისტემატურად არღვევდნენ წესრიგს მასპინძელთა გუნდის მცველი ქასრაშვილი, ლოკომოტიველები მანზიჩუკი, ქობალია, კოხრეიძე, კაშია, მჭედლიშვილი. ატმოსფერო სტადიონზე სულ უფრო მეტად იმუხტებოდა.**

**მაშინ კი, როცა მატჩის ბოლო წუთებზე მეტალურგებმა ბურთი გაიტანეს სტუმრების კარში, სათამაშო მინდორზე ენით აუწერელი ამბავი დატრიალდა: სამტრედიელი ფეხბურთელები ფიცხლავ ეკვეთნენ გვერდით მსაჯს, წააქციეს იგი, წამსვე ჩხუბში ჩაერივნენ ორივე გუნდის მოთამაშეები, ტრიბუნებიდან გადმოცვივდნენ მაყურებლებიც, ამ ზედახორაში კაცი ვერ გაარკვევდა მტყუანს და მართალს, მოჩხუბარს და გამშველებელს. კარგი რომ, ქალაქის მილიციის თანამშრომლები ოპერატიულად ჩაერივნენ საქმეში და აღკვეთეს სკანდალი. ამის შემდეგ სამტრედიის „ლოკომოტივის“ ფეხბურთელები მატჩის შეწყვეტასაც კი აპირებდნენ და მხოლოდ გუნდის მწვრთნელის აქტიური ჩარევის შემდეგ დაუბრუნდნენ მინდორს თამაშის დასამთავრებლად.**

**საკავშირო რანგის ოფიციალური შეჯიბრების მატჩი რუსთავის „მეტალურგსა“ და სამტრედიის „ლოკომოტივს“ შორის არნახული აჟიოტაჟისა და უდისციპლინობის ვითარებაში ჩატარდა, ყველაფერი ეს ყოვლად უცხო და მიუღებელია საბჭოთა სპორტისთვის.**

**II ლიგის IX ზონის შეჯიბრებას საკავშირო პროფკავშირთა ფეხბურთის ფედერაცია და ნებაყოფლობითი სპორტსაზოგადოებათა საკავშირო საბჭოს ფეხბურთის განყოფილება ხელმძღვანელობენ, ამ მატჩში მომხდარ უმსგავსოებებზეც იგი მიიღებს თავის გადაწყვეტილებას, მაგრამ რუსთავის „მეტალურგიც“ და სამტრედიის „ლოკომოტივიც“ საქართველოს გუნდებია, ფეხბურთელები, რომლებმაც ამგვარი, უხამსობა ჩაიდინეს, ჩვენი აღზრდილები არიან, ამიტომაც უპირველეს ყოვლისა ჩვენა ვართ ვალდებული შესაბამის ზომებს მივმართოთ მათ ამ უპრეცედენტო ხულიგნობაზე. ორივე გუნდის ხელმძღვანელები, რუსთავისა და სამტრედიის სპორტის მესვეურნი, სხვა ხელმძღვანელი ორგანოები იმსჯელებენ რუსთავის სტადიონზე მომხდარი კონფლიქტის თაობაზე, ხოლო საქართველოს სსრ ფეხბურთის ფედერაცია და საქართველოს სპორტსახკომის ფეხბურთის სამმართველო ღირსეულ სასჯელს მიაგებენ დამნაშავეებს.**

### ეკრანზე და ეთერში

**ცენტრალური ტელევიზია. 21 სექტემბერი.** რიტმული ტანვარჯიში — **9.40 (1)**; „სპორტლოტოს“ ტირაჟი — **10.20 (1)**; სსრ კავშირის ჩემპიონატი ჰოკეიში — **15.45 (2)**; სსრ კავშირის ჩემპიონატი ძიუდოში — **21.30 (2)**; საფეხბურთო მიმოხილვა — **0.05 (1)**.

**საქართველოს ტელევიზია. 21 სექტემბერი.** ფეხბურთის საკავშირო ფედერაციის პრიზის გათამაშება: „ტორპედო“ (ქუთაისი) — „დინამო“ (თბილისი) — **21.00**; სსრ კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში: „დინამო“ (თბილისი) — ვეფ (რიგა) — **23.35**; საფეხბურთო მიმოხილვა — **0.05**.

**22 სექტემბერი.** საფეხბურთო მიმოხილვა — **9.40**; მსოფლიო ჩემპიონატი ჭადრაკში: გ. კასპაროვ — ა. კარპოვის მატჩ-რევანში — **20.00** და **0.01**.

**საქართველოს რადიო. 21 სექტემბერი.** რადიოჟურნალი „ფიზკულტურა და სპორტი“ — **14.30**; ფეხბურთის საკავშირო ფედერაციის პრიზის გათამაშება: „ტორპედო“ (ქუთაისი) — „დინამო“ (თბილისი) — **21.00**.

რედაქტორის მოადგილე
**თ. ბაჩეჩილაძე.**

**ჩვენი მისამართი:**
წერილებისთვის — 380096
თბილისი, ლენინის ქ. 14.
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.

**რედაქციის ტელეფონები:**
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
წერილების განყოფილება — 93-97-55,
„მართვე“ — 93-97-27, „მერანი“ — 93-97-26.

**ჩვენი ინდექსი:** 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 უე 07612